MES 4 23 0000174697

14/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07. 02. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

8. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
9. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.
12. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
13. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელება	სტატუსი	საკითხი
	ირმა გრძელიძე	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	I
	ბადრი რამიშვილი	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
	კონსტანტინე პეტრიაშვილი	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძრვანელი	I
	ლევან საბაური	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I

		სახელმწიფო უნივერსიტეტი		
	ნინო ქიმერიძე	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევისა და შეფასების განყოფილების უფროსი.	I
	ბელა მოსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ართული ფილოლოგიის საბაკალაბრო საგანმანათლებლო და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტო პროგრამები ხელმძღვანელი	II
	ქეთევან ლატარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II
	ყარამან ქუთათელაძე	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი	III
	ნინო ღაღანიძე	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	ხარისხის სამსახურის უფროსი	III
	თამარ ხუნდაძე	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი,	III

	ნინო ჭოღოშვილი	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიისა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,	III
	ანა კლდიაშვილი	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რესტავრაციის, ხელოვნებისა ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი,	III
	თამარ ლილუაშვილი	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი,	III
	ლელა მიქაბერიძე	სიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.	III
	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	IV
	ნანა შონია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;	IV

		"სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;		
	თენგიზ კუპრაშვილი-	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	IV
	მამუკა შენგელია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;	პროგრამის ხელმძღვანელი;	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარიამ დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

9	ნინო ქოთოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ემზარ კახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნინო სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის” საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის” საბაკალავრო და სამაგისტრო საგანჯმანთლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1.პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში National Security Policy in Public Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში/Executive Master of Business Administration(EMBA) in Public Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	n/a
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
14	განხორციელების ადგილი	1) უნივერსიტეტის ქუჩა #2, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, ქ. თბილისი, 0186, საქართველო; 2) დანიელ ჭონქაძის 20, ქ. თბილისი,

		საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ირინა გველესიანმა და ნინო ჭალაგანიძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 დეკემბერს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროგრამა წარმოადგენს ორი დაწესებულების ერთობლივ პროდუქტს, შესაბამისად თსუ-ს მაღლივ კორპუსში ადგილზე დათვალიერდა საკლასო ოთახები და ინფრასტრუქტურა, ხოლო Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით დათვალიერდა თავდაცვის აღმშენებლობის სასწავლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა. მისი თქმით, პროგრამის ორი სტანდარტი, კერძოდ, პირველ და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. შესაბამისად, რეკომენდაციები გაიცა ამ სტანდარტებთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ სწავლის პირველი და მეორე შედეგი მაგისტრატურის დონისთვის მარტივად არის ჩამოყალიბებული, იგი უფრო წარმოადგენს ბაკალავრის დონის შედეგებს, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ უნდა მოახდინოს იდენტიფიცირება და შეისწავლოს აღნიშნული საკითხი. ექსპერტთა თავმჯდომარის განმარტებით, რამდენიმე კურსია შეტანილი სასწავლო კურიკულუმში იმისთვის, რომ პროფესიულთა კვოტირება დაკმაყოფილდეს. მისი განმარტებით, ეს კურსები არ არის შინაარსობრივად შესაბამისი პროგრამისთვის. მაგალითად, "საზოგადოებასთან ურთიერთობის" კურსი. რეკომენდაცია არის, რომ ჩანაცვლდეს პოლიტიკის შემუშავების, ანალიზისა და დიზაინის კურსით, რომელიც სავალდებულოა სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე ნებისმიერი პირისთვის და უფრო შეესაბამება პროგრამის შინაარსს. გარდა ამისა, კურსი „ადამიანური რესურსების მართვა", რომელიც სემესტრული განაწილების თვალსაზრისით არ არის ეფექტურად ჩასმული პროგრამაში. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია არის, რომ აღნიშნული კურსი გადანაცვლდეს პირველ სემესტრში და გახდეს რამდენიმე კურსის წინაპირობა. „ადამიანური რესურსების მართვის" კურსში იყო რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, ლექციების განრიგში და ლიტერატურის ჩამონათვალში არ არის

დასახელებული „საჯარო სამსახურის შესახებ კანონი“, აღნიშნული კანონი ფატობრივად არეგულირებს საჯარო სამსახურში პერსონალის მართვას, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია. მისი თქმით, რეკომენდაციათა მეტი წილი ეხებოდა სილაბუსებში ლიტერატურის მოცულობას. მან აღნიშნა, რომ „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ კურსი სამაგისტრო პროგრამის მახასიათებლებიდან გამომდინარე უნდა ფოკუსირდეს მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე და არა აკადემიური ნაშრომის წარდგენაზე. მისი თქმით, პროგრამაზე მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს კვლევის ჩატარების უნარებზე, რადგან პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღების მეორე საფეხურს - მაგისტრატურას. პრაქტიკული პროექტის კურსის სილაბუსი,რომელიც ანაცვლებს სადიპლომო ნაშრომს, არ არის სათანადოდ შედგენელი და რეკომენდებულია ის შეივსოს პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, ასევე, ჩაიწეროს თუ როგორი უნდა იყოს პროექტის სტრუქტურა, ეტაპების განხორციელების ვადები, შეფასების რუბრიკა და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, მეოთხე სტანდარტთან მიმართები გაცემული იყო ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით დაწესებულებასთან ასოცირებული დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობის გაზრდას. მისი თქმით, უნივერსიტეტს ძლიერი მოწვეული პედაგოგების კოლექტივი ჰყავს ამ პროგრამაზე, მაგრამ აუცილებელია მათი პროგრამაში ჩართვა როგორც ინტეგრირებული ლექტორების სტატუსით და არა მოწვეულის. არსებობს რამდენიმე პროგრამა საქართველოში უსაფრთხოების კუთხით, საიდანაც შესაძლებელია აკადემიური პერსონალის მოწვევა პროფესორების რანგში. გარდა ამისა, არ არის განაწილებული თანაბრად პროფესიული პროექტის ხელმძღვანელები იმიტომ, რომ 3 პროფესორი ხელმძღვანელი არ არის საკმარისი 25 სტუდენტისთვის სრულფასოვანი ხელმძღვანელობის გასაწევად. მისი თქმით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პასუხის წარმოდგენისას გაითვალისწინა სრულად რამდენიმე რეკომენდაცია.1.4 კომპონენტის ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის არჩევით საგნებს დაემატება სასწავლო კურსი „პოლიტიკის ანალიზი და დიზაინი“, ხოლო „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ დარჩება ასევე არჩევითი კურსების ბლოკში.მეორესთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, რომ კურსი „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ გადავიდეს I სემესტრში, თუმცა, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ის გახდეს არა „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსის, არამედ, კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში” წინაპირობა, რამდენადაც „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსი გათვლილია სამხედრო მეთაურებისა და სტრატეგიული ლიდერების უნარებისა და ლიდერობის თეორიების შესწავლაზე, ხოლო „სტრატეგიული მენეჯმენტის საჯარო სექტორში“ მოსამსახურეების მიერ საჯარო სექტორში მენეჯმენტის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე. ექსპერტთა ჯგუფის ტავმჯდომარის განმარტებით, 1.5 კომპონენტის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან მათი პოზიციით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი და შესაბამისი თემები უკვე ასახულია კურსის სილაბუსში, რაც, ექსპერტთა მოსაზრებით, სამსჯელო საკითხს წარმოადგენს. რაც შეეხება 3.2. კომპონენტის რეკომენდაციას, დაწესებულებას სამართლიანად აქვს მითითებული, რომ ის იმეორებს 4.1. რეკომენდაციას, რომლის გათვალისწინებასაც დაწესებულება გეგმავს. შესაბამისად, დასკვნიდან 3.2. რეკომენდაცია ამოღებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ რეჟიმში.პროგრამა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რომელიც დამკვეთთან შეთახმებით შეიქმნა. პროცესი ამ მიმართულებით მიმდინარეობს ერთი წლის განმავლობაში და თანამშრომლობა იყო განსაკუთრებული იმიტომ,რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას

წინ უძღოდა სურვილი შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებისა, შექმნილიყო ისეთი პროგრამა, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ საკითხებს. მისი განმარტებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი არან უნივერსიტეტის, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ ძალიან მაღალი კომპეტენცია. მან ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია რეგულაციები თუ როდის არის შესაძლებელი აკადემიური პერსონალის აყვანა. ეს არის ღია და გამჭვირვალე პროცესი და დამოკიდებული არ არის იმაზე თუ რამდენად ძლიერი პერსონალი ჰყავს უნივერსიტეტს. ამ ტიპის პროგრამას არ გააჩნია კვლევითი კომპონენტი, რადგან ეს საგანმანათლებლო პროგრამა იმგვარადაა აგაბული,რომ მორგებული იყოს პროექტზე და მიმართული იყოს "Capstone Project"-ის ჩამოყალიბებისკენ. მისი თქმით, პროგრამაში შეიძლება იყოს სასერტიფიკატო კურსი, რომელიც კარგ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის ბენეფიციარებსა და სტუდენტებს. მისი აზრით, პროგრამა ამ თვალსაზრისით არის უნიკალური და განსხვავებული, იგი მორგებულია არსებულ საჭიროებებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ლევან საბაურმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები შესაძლებელია ყოფილიყო რჩევის სახით. ის ნორმატიული აქტები, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობს არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აკადემიური თანამდებობა დაიკაოს მხოლოდ და მხოლოდ ამ სამაგისტრო პროგამაში ჩართულმა პერსონალმა, რადგან პროფესორის სემესტრული დატვირთვა პროფესორის შემთხვევაში უნდა შეადგენდეს 120 საათს, ასოცირებულის 150 საათს, ხოლო ასისტენტ-პროფესორის 180 საათს. აკადმიურ პერსონალთა ჩართულობაში მოიაზრება არა მარტო მათი საათობრივი დატვირთვა, არამედ პროექტებში ჩართულობაც. აქვე განმარტა, რომ კვალიფიციური და ძლიერი მოწვეული აკადემიური პერსონალი გაუწევენ დახმარებას ნაშრომის ხელმძრვანელებს, სტუდენტებთან ნაშრომზე მუშაობის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, "სტრატეგიული ლიდერობა" უცხოური გამოცდილებიდან არის აღებულია სამხედრო მეთაურებისთვის. „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში" განსაზღვრულია სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად, რადგან მენეჯმენტი სწავლობს იმ უნარებს, რომლებიც უნდა ჰქონდეს პირს, რათა იყოს ხელმძღვანელი და წარმატებით მართოს ორგანიზაცია."სტრატეგიული ლიდერობა" დაფუძნებულია საერთაშორისო თეორიებზე და იმ უნარებზე, რომლებიც უნდა შეისწავლონ ლიდერებმა როგორც საბრძოლო, ისე არასაბრძოლო გარემოში მოქმედებების დროს. მისი თქმით, რეკომენდაციებს, რომლებიც ექსპერტებმა გასცეს, დაწესებულება ბევრს დაეთანხმა და დაწყებულია მათზე მუშაობა. კერძოდ, დაწყებულია „აკადემიური წერის" შეცვლა,ლიტერატურის შემცირება,შეფასებების სილაბუსებზე მიბმა. გარდა ამისა, პრაქტიკულ ნაშრომზე უკვე განსაზღვრულია 7 ადამიანი,რომელიც დაემატება 3 ადამიანს და იქნებიან თანახელმძღვანელები პრაქტიკული ნაშრომის დაცვაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მისაღებია დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ „სტრატეგიულ ლიდერობასთან" დაკავშირებით. მისი თქმით, კანონს აქვს ბევრი ხარვეზი და მასში მოცემული ლექციის თემები პირდაპირ შეიძლება კანონის მუხლების მიხედვით იყოს დაყოფილი.მაგალითად,შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასებასთან დაკავშირებით საჭიროა კანონიდან შესაბამისი თავი - „საჯარო მოხელის შეფასებაზე". მისი თქმით, სილაბუსში უნდა იყოს ასახული კანონი, მაგრამ ეს არ ეხება სსიპ-ებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში, რომელშიც მოცემულია პროგრამის მოკლე აღწერა იკითხება შემდეგი რამ: „სამაგისტრო სწავლის პერიოდში როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ისვე თავდაცვის სამინისტროს აღმშენებლობის სკოლა მაგისტრანტებს მისცემს შესაძლებლობას სურვილის შემთხვევაში გარდა იმ საგნებისა და მოდულებისა,რომლებიც არის პროგრამაში აირჩიონ და გაიარონ სხვა ინდივიდუალური და სერტიფიცირებული სასწავლო კურსები." მან

აღნიშნა, რომ მსგავსი რამ პროგრამაში არ იკითხება. ეს არის კურიკულუმის გარეთ და როგორც ჩანს არ არის სავალდებულო. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ბონუსი სტუდენტისათვის,რომელსაც ეძლევა ამ პროგრამაზე სწავლის პერიოდში დამატებით შესაძლებლობა? ასევე, როგორ იგებს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი წინასწარ რომ მას გარდა ამ პროგრამისა აქვს სასერტიფიკატო კურსების გავლის შესაძლებლობა? ასევე,როდის შეიძლება აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლოს სტუდენტმა დისტანციურად?

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ სასერტიფიკატო კურსები არის ექსტრაკურიკულარული მხარდაჭერა სტუდენტების,რომელიც შეთავაზებულია არსებული გამოცდილებით. გარდა ამისა,სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტები პარალელურად გადიან მაგდენბურგის უნივერსტიტეტის სასერტიფიკატო კურს და იღებენ 60 კრედიტს მათი სურვილის შესაბამისად,რაც შესაძლებლობას აძლევს მათ,რომ მიიღონ ოთხი უნივერსიტეტის დიპლომი და ასევე ჰქონდეთ კურსი,რომელიც ადასტურეს 60 კრედიტიანი პრე-სადოქტორო მომზადების გავლას. ეს არის ბონუსი ე.წ. დამატებითი შესაძლებლობა სტუდენტებისთვის,რომელსაც წარმატებით იყენებენ. მისი თქმით,როდესაც აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში, მათ უტარდებათ პირველი გაცნობითი დღე და ეცნობებათ იმ შეთავაზებების შესახებ,რომლებსაც დაწესებულება სთავაზობს. ამ პროგრამას კურირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი და აღმშენებლობის სკოლა. მან აღნიშნა, რომ დღეს უნივერსიტეტებს გააჩნიათ ელექტრონული კომპონენტები,მაგრამ საუბარი არ არის სრულად დისტანციურ რეჟიმზე. ამ კომპონენტების ჩაშენება და ცენტრთან თანამშრომლობა შესაბამისი ცნობის საშუალებით არის შესაძლებელი.მისი თქმით,საჭიროების შემთხვევაში სილაბუსში შედის ცვლილება,რომელსაც ამტიკცებს აკადემიური საბჭო და ამის შემდეგ იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში იმის დასტურად,რომ არ იცვლება სწავლის შედეგები და მიზნები,მაგრამ იცვლება კომპონენტის კონკრეტული საათების ფორმა.ლევან საბაურმა სასერტიფიკატო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა,რომ დაწესებულებას გამზადებული აქვს გზამკვლევი, რომელშიაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია სასერტიფიკატო კურსის შესახებ,კერძოდ მიღება,მიღების თარიღი და ა.შ.გარდა ამისა, დამატებით კურსებთან დაკავშირებითაც არის მოცემული ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, კერძოდ დაწესებულებამ რატომ გადაწყვიტა EMBA 60 კრედიტიანი პროგრამის შემოტანა? ამ პროგრამის შემოტანა ხომ არ იყო განპირობებული რაიმე ანალოგების გაცნობით? თუ კი რომელი იყო ეს ანალოგები? მან აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების მიმართულებით განხორციელებულიყო ეს პროგრამა. ასევე შესაძელებელი იყო 03 კოდით სამოქალაქო განათლების მიმართულებით კვლევებით განხორციელებულიყო მსგავსი პროგრამა. რატომ არის პროგრამა მენეჯმენტის და ადმნისტრირების ქვეშ?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როდესაც მიმდინარეობდა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა, აღმშენებლობის აკადემიამ თსუ-ს შესთავაზა წინადადება, კერძოდ სად უნდა განეხორციელებინა პროგრამას უფლებამოსილება.ეს შეიძლება ყოფილიყო სოციალური და პოლიტიკის მეცნიერების, სამართლის ან ბიზნესის ფაკულტეტზე. მისი თქმით, ეს საგანმანათლებლო პროგრამა არ არის შექმნილი მხოლოდ იდეისთვის,არამედ შექმნილია ადამიანებისთვის.სწორედ ამ კარგი გამოცდილების გათვალისწინებით,რომლებიც ოფიცრებს გააჩნიათ დაწესებულება მივიდა იმ დასკვნამდე,რომ ყოფილიყო Executive of MBA.შესაძლებლობა საჭიროებების და შინაარსის გათვალისწინებით მხოლოდ Executive of MBA შემთხვევაში არის შესაძლებელი.გარდა ამისა, ოფიცრებს აქვთ გამოცდილება ამ ტიპის პროგრამებზე ამერიკაში სწავლის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თავდაცვის სამინისტროს მხრიდან პროგრამაში ჩართულ პირებს გავლილი აქვთ მსგავსი პროგრამები უცხოეთის ორგანიზაციებში. მისი თქმით,მას გავლილი აქვს ნატოს კოლეჯი,ხოლო სხვებს ბალტიის კოლეჯი. ამერიკიდან პროგრამაზე არიან 3-4 ოფიცერი და არა მარტო ოფიცერი,არამედ ვისაც გავლილი აქვს ერთწლიანი სამაგისტრო აღმასრულებელი

პროგრამები.ეს იყო წინაპირობა იმისა, რომ გაკეთებულიყო ერთწლიანი პროგრამა. გარდა ამისა, თანამდებობის პირი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მოწყვეტილია სამსახურს და გადართულია სწავლაზე ითხოვს იმ უნარების აღებას,რომელიც მას პრაქტიკულად დასჭირდება სამენეჯმენტო-საადმინისტრატორო ფუნქციების შესასრულებლად.ეს არ არის კვლევაზე დაფუძნებული,არამედ გათვლილია იმაზე,რომ განახორციელოს თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე უფლებმოსილება.პროგრამა არ ითვალისწინებს მესამე საფეხურზე გაგრძელებას,რადგან კვლევაზე დაფუძნებული არ არის პროგრამა,მაგრამ სახელმწიფო უწყებებისთვის ეს მისაღებია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაზუსტების მიზნით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. კერძოდ, ერთწლიანი პროგრამა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი იყო თუ კარიერული განვითარებაზე ორიენტირებული?

კონსტანტინე პეტრიაშვილის თქმით, უცხოეთში ერთწლიანი პროგრამები არის აკადემიური პროგრამები. გარდა ამისა,თავდაცვის სამინისტროში არის პროფესიული განათლების პროგრამები.ასევე უცხოეთში არის “MPAE”,მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა,რომ პროგრამა რომელიც საჯარო მმართველობაში მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უნდა იყოს მითუმეტეს აღმასრულებლებისთვის კონცენტრაციებით არ არის ჩაშლილი. მან სასწავლო კურსებთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. კერძოდ, როგორ ახსნიდა უნივერსიტეტი აკადემიური წერის სილაბუსის არსს “EMBA” პროგრამაში, რომელიც კვლევაზე არ არის ორიენტირებული? გარდა ამისა,მიესალმება თუ არა უნივერსიტეტი საფუძვლების კურსების შემოტანას პროგრამაში? ასევე, რამდენად რელევანტურია სტუდენტების გამოკითხვის ის მეთოდები “EMBA” პროგრამისთვის,რომელიც უნივერსიტეტმა დასკვნის სახით წარმოადგინა?

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ Executive of MBA-ის პროგრამები საქართველოში არ არის. აკადემიური წერის არსებობა-არარსებობა არის კამათის საგანი, მაგრამ აკადემიურმა ჯგუფმა ამ საგნის არსებობა საჭიროდ მიიჩნია იმიტომ, რომ პროგრამა არის მაღალი რანგის ოფიცრებისთვის და მოხელეებისთვის გათვლილი. ის სწავლების ფორმები,რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული არის მიღებული პრაქტიკით დამკვიდრებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა,რომ იმყოფებოდა „არკანზასის უნივერსიტეტში“ აკადემიურ პროგრამაზე,რომელიც წარმოადგენს Executive of MBA-ს. ამ უნივერსიტეტში ჩვეულ რეჟიმში ლექციები პრაქტიკული ფორმით მიმდინარეობს. ამ მიმდინარეობის პროცესში ვარირება სწავლების მეთოდების, ისევე როგორც პროცესის მართვის, იქნება ადაპტირებული. აკადემიური წერის კურსი სტუდენტს დაეხმარება უკეთესი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში. აკადემიური წერის კურს დაემატება მონაცემისა და ანალიზის დამუშავება რაოდენობრივი მეთოდებით და შესაძლებელია კურს სახელიც კი შეეცვალოს. დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, აკადემიური წერის არსებობა არის აუცილებელი.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ შემუშავდა ბიზნეს-ადმინისტრირების და მენეჯმენტის პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები,რომლებიც ყველა სხვა კომპონენტებთან ერთად მოსალოდნელ კომპეტენციებსაც განსაზღვრავენ როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო დონეზე.ამ დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა დაწესებულებებს 2022 წლის ბოლომდე უნდა დაესრულებინათ.მას აინტერესებდა, შემოწმდა თუ არა აღნიშნული პროგრამა დარგობრივი მახასიათებლების მოსალოდნელ კომპეტენციებთან მიმართებით? მისი თქმით,

არჩევით კურსებში არის „თეატრის სტრატეგიისა და კამპანიის დაგეგმის კურსი“.მას აინტერესებდა, განსაზღვრულია თუ არა ამ კურსის რელევანტურობა? გარდა ამისა, მსგავსი პროგრამები სტრუქტურულად რამდენად ითვალისწინებენ ამ კურსის ერთიან პროგრამაში ასრებობას?

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ თეატრის კურსი პირდაპირი გაგებით არ გულისხმობს თეატრს. განსახილველ შემთხვევაში ტეატრში მოაზრება საბრძოლო მოქმედებათა თეატრი, რომელიც დარგში დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს. პროგრამა არ გავს სტანდარტული საჯარო მმართველობისა და უსაფრთხოების პროგრამებს.სწავლების მიზნები და შედეგები ზუსტად შეესაბამება იმ მიზნებს,რაც პრორგრამას აქვს დასახული.ამ მიმართულებით არ იკვეთება კითხვის ნიშნები.მისი თქმით,პროგრამის მიზნები და შედეგების დადარება მოხდა იმ კვალიფიკაციის რა კვალიფიკაციასაც გადის პროგრამა. გარდა ამისა, პროგრამა არის შედგენილი ნატოს სერტიფიცირებული კურსების შესაბამისად.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „თეატრის სტრატეგია და კამპანის დაგეგმა“ სამაგისტრო პროგრამაში არის არჩევითი საგანი, რომლის გავლა არ არის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ის,რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ტოტალური თავდაცვის პრინციპებს,რომლებიც არის განსაზღვრული სახელმწიფო სტრუქტურის ყველა მოსამსახურის ჩართვაზე ქვეყანაში ტოტალური თავდაცვის გარემოს შექმნისათვის.ამის სწავლა საჯარო მოხელეებისთვის არის ერთ-ერთი აუცილებელი და მოთხოვნადი. უსაფრთხოების სექტორში ტოტალური თავდაცვის პრინციპების მოთხოვნების გათვალისწინება არის სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ, დააზუსტა შეკითხვა და განმარტა, რომ კითხვა მიემართებოდა 1.4 კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სტრუქტურას, მის შინაარსა და მისანჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობას პროგრამის შინაარსტან და სწავლის შედეგებტან. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ დასკვნის აღწერილობით ნაწილში მითითება, განსახილველ შემთხვევაშ ეს მითითება არ არის, შესაბამისად, ექსპერტებს სთხოვა განემარტათ ეს საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ტექნიკურად გამორჩენილია დასკვნაში, ტუმცა აღნიშნულ გარემოებებტან დაკავშირებით მათ შეფასების პროცესში შეუსაბამობა არ გამოუვლენიათ.

დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, დარგობრივი მახასიათებლების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი არის საერთაშორიოს გამოცდილებისა და Benchmarking-ზე დადარება. მან აღნიშნა, რომ 7 ადამიანი, რომელიც ამ პროგრამაში არის ჩართული და მონაწილეობას ღებულობდა მის შემუშავებაში დარგის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილების მქონეა.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა,რომ პროგრამა არის ძალიან საინტერსო და მნიშვნელოვანი.მასში მკაფიოდ იკვეთება ის,რომ პროგრამა არის სპეციალიზირებული პროგრამების შესაბამისად აგებული. ეს რომ ყოფილიყო “EMPA”-ის კვალიფიკაცია საჯარო მმართველობაში აღმასრულებელი მაგისტრისა, ასეთი ტიპის პროგრამებში, თუ მას სპეციალიზირებული საგანმანათლებლო დაწესებულა არ ახორციელებს,არამედ ახორციელებს ჩვეულებრივი უნივერსიტეტი როგორც წესი ერთ-ერთ კონცენტრაციად მოიაზრება სამხედრო უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხები.გარდა ამისა,კვალიფიკაცია ენიჭება „EMPA“-ს. მისი თქმით, ამ პროგრამაში ეს ერთი კონცენტრაცია გამოტანილია როგორც მთელი პროგრამა და „EMPA“-ს კვალიფიკაცია კი არა (რომელსაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა) “EMBA”-ს კვალიფიკაცია ენიჭება. სწორედ აქედან გამომდინარეობს კითხვა რამდენად

ვალიდურია აღნიშნული კვალიფიკაციის მინიჭება, მაშინ როცა კონცენტრაციის შინაარსი ცოტა სცილდება თუნდაც დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ იმ მინიმალურ 50%-ს კომპეტენციებისა, რაც "EMBA"-ის კვალიფიკაციის მინიჭების დროს უნდა იცოდეს კურსდამთავრებულმა? მან აღნიშნა, რომ მათთვის ცხადია, რომ პროგრამა არის სერტიფიცირებული კურსებით გაკეთებული, თუმცა სერთიფიცირებული კურსები რამდენად არის აკადემიური პროგრამა ამ ჭრილში დაისვა კითხვა.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით,პროგრამა არ არის სერტიფიცირებული პროფესიული კურსებით შექმნილი. პროფესიული კურსები,რომლებზეც აქცენტია გაკეთებული ბონუსად არის შეთავაზებული სტუდენტებისთვის. პროგრამა არის მხოლოდ აკადემიური კურსების საფუძველზე შექმნილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:19
დასრულების დრო: 16:17

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო (EMBA) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2024 წლის 31 დეკემბრამდე), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.2 სწავლის პირველი და მეორე შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით;
1.4 საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს, სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის;

1.4 კურსი ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, მეორე სემესტრის ნაცვლად, ჩატარდეს პირველ სემესტრში და გახდეს სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობა;
1.5 სავალდებულო საგნების სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია, შემცირდეს როგორც ლიტერატურის ჩამონათვალი (ძირითადი და დამხმარე), ასევე თითოეულ ლექციაზე საკითხავად განსაზღვრული გვერდების რაოდენობა; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები, შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.
1.5 აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით.
1.5 გადაიხედოს კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ სილაბუსის შინაარსი და გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთაკარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა;
1.5 სილაბუსებში შეფასების რუბრიკა ფორმულირდეს ისე, რომ ასახავდეს კონკრეტული საგნის სპეციფიკას, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა;
1.5 გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა;
4.1 გაიზარდოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით უსდ-სთან ასოცირებული, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობა; ამისათვის პროგრამის აკადემიური პერსონალი გამდიდრდეს პოლიტიკის მეცნიერებების ან უსაფრთხოების პროგრამების პროფესორების მოწვევის, ასევე თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმემ სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზების ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას;
4.2 უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ანდა პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა, რადგან 3 პირი არ იქნება საკმარის, რათა 25 კაცს გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა;
აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:
1.3 სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე;
2.3 შემდეგ კურსებში: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში, უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები, სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები, სტრატეგიული ლიდერობა, სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში -სასურველია სწავლების მეთოდებს შორის სიტუაციის ანალიზის, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სიმულაციური პროგრამების გამოყენება;
4.5 დარწმუნდით, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება ადეკვატურია, ინკლუზიურია და საკმარისია ყველა სტუდენტის, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. ჩაატარეთ დამატებითი კვლევები მივლინებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით ფაკულტეტის რამდენმა პროცენტმა ისარგებლა და დაადგინეთ დაფინასების სუსტი წერტილები, რათა მოახდინოთ ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური ხარჯვა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 8 სექტემბრის N620 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Georgian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ლიტერატურის ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 8 ნოემბრის N620 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7

9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი Master of History of Georgian Literature;
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე,ნინო პოპიაშვილი,მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფილოლოგიის კლასტერში წარმოდგენილია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით,რეკომენდაციები გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულება აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს დაეთანხმა. პროგრამები უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2008 წლიდან,ხოლო 2012 წლიდან არის აკრედიტებული. ექსპერტთა მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში აისახოს სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამოირიცხოს სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე“. მისი თქმით,უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად,

მოდიფიცირდა სასწავლო კურსებში სწავლების მიზნები, თუმცა ორაზროვნების საკითხზე დაწესებულება აღნიშნავს, რომ ფილოლოგიის დარგში ცოტა რთულია ორაზროვნებისგან თავის არიდება. კონკრეტულ შემთხვეევბში ეს მხოლოდ ცოდნის გაღრმავებას ემსახურება.
ექსპერტტა ჯგუფის მიერ გაიცა კიდევ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ ექსპერტტა ჯგუფმა რეკომენდებულად მიიჩნია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას და აღნიშნეს, რომ ექსერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, ცალკეულ სასწავლო კურსებში მოხდა ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციაც, კერძოდ რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასებაში აისახოს სწავლების საკვანძო შედეგები და მისი შესაბამისი სასწავლო კურსები, შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციასაც.
ექსპერტტა ჯგუფის მიერ გაიცა კიდევ ერთი რეკომენდახცია, კერძოდ გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით. ექსპერტტა ჯგუფის ტავმჯდომარის განმარტებიტ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციასაც იზიარებს, რის დასტურადაც წარმოადგინეს გადამუშავებული სილაბუსები საგნებში: ”ქართული დიალექტოლოგია“, “ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა”, “დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია”, “დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები”, “ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი”,
ექსპერტტა მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაცია შემდეგი სახით ფორმულირდა: რეკომენდებულია სასწავლო კურსის “ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა” სახელწოდების შეცვლა და კურსის შინაარსის გადამუშავება იმგვარად, რომ იგი სრულ შესაბამისობაში იყოს როგორც პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ისე ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის თქმით,უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნულის შესაბამისად შეცვალეს სასწავლო კურსის სახელწოდება, ამჟამად კურსს ეწოდა ,,ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა“.

ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: რეკომენდებულია, გადამუშავდეს “დიალექტოლოგიის” სასწავლო კურსი, შეივსოს შესაბამისი თემატიკით და ეწოდოს :”ქართული დიალექტოლოგია”. უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, რის საფუძველზეც განახორციელეს შესაბამისი ცვლილება, კერძოდ “დიალექტოლოგიის” სასწავლო კურსს ეწოდა ”ქართული დიალექტოლოგია” და შეივსო შესაბამისი თემატიკით. (წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი)“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაცია: რეკომენდებულია, სასწავლო კურსის: “დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია” და არჩევითი სასწავლო კურსის: “დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები” თემატური და შინაარსობრივი განმეორებების თავიდან ასაცილებლად გადამუშავდეს სასწავლო კურსები და სავალდებულო ლიტერატურა. ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა,რომ უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას რის დასტურადაც წარმოადგინა მოდიფიცირებული სილაბუსები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუსავდა კიდევ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ; რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების

„ლიტმცოდნეობის შესავალი“ და „პალეოგრაფია“ ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაშრომებით. მაგ. “ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი”, დარეჯან თვალთვაძე “სასწავლო წიგნი ქართულ პალეოგრაფიაში:, თბ., 2006, გამომცემლობა „ნეკერი“.
უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი სახის რეკომენდაცია, კერძოდ: რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსში: “თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციები” შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა რელევანტური მასალით. ექსპერტთა თავჯდომარის თქმით,უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჯგუფის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციაც: რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით უნივერსიტეტი დაეთანხმა რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაცია ასე ფორმულირდა: გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა,რომ უნივერსიტეტი დაეთანხმა რეკომენდაციას. ამასთან დაკავშირებით დაწესებულება აღნიშნავს, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი შესაძლებლობა იკონტაქტონ (გარდა საკონტაქტო ან საკონსულტაციო საათებისა) აკადემიურ პერსონალთან როგორც პიდაპირ, ისე ონალიან. ამდენად აღნიშნული საკითხი დაძლეულია. ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში დაფუძნებული აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც ღიაა ყველა იმ სტუდენტისათვის და დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც უწევს მუშაობა წერით კომპონენტებზე კვლევითი უნარების გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტთა აზრით, უნივერსიტეტში ვიზიტის დროს და საკვალიფიკაციო ნაშრომების გაცნობის დროს გამოიკვეთა, რომ გასაუმჯობესებელია ნაშრომების აკადემიური დონე: ნაშრომის დიზაინი, სამეცნიერო სტილი, ლექსიკა, ციტირების წესების დაცვა და სხვ. რეკომენდებულია რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით. უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა კიდევ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.
რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ „სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკა უჩვენებს, რომ წერითი დავალებების კვლევითი კომპონენტები და არა მარტო სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტი მუდმივად იხვეწება, განახლდება. აღნიშნული საკითხი პირდაპირაა მიბმული რეგიონის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნებსა და საჭიროებებს და შესაბამისად შესაძლებელია იცვლებოდეს მიზნობრიობისა და თემატიკის მიხედვით. შესაძლებელია განვიხილოთ საკითხი რეგიონში ჩატარებული შესაბამისი კვლევისა და მუნიციპალიტეტის საჭიროებების მიხდვით დავასახელოთ საკვლევი თემებიც“. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომებში საკვლევი პრობლემატიკის შერჩევის დროს ნაშრომი იყოს მიზანზე ორიენტირებული, გამოიკვეთოს სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, კვლევის სიახლე, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი ასპეტები და სხვ.უნივერსიტეტი არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რჩევები მისაღებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და წარმოადგინა მოდიფიცირებული სასწავლო კურსები.მისი თქმით,ამ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობა მზარდია იქიდან გამომდინარე,რომ უნივერსიტეტში ხორციელდება მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა.გარდა ამისა,ამ პროგრამებზე სწავლობენ ოკუპირებული ტერიტორიიდან მოსული სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა,რომ დაწესებულება იზიარებს ყველა რეკომენდაციას. მისი თქმით, გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები,რომლებიც სწავლის მიზნებისა და შედეგების ორაზროვნების საკითს ეხებოდა არ აზიანებს პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგს.გარკვეულ სასწავლო კურსებში მოდიფიცირება განხორციელდა.დაწესებულებამ სცადა,რომ გამარტივებულიყო სწავლის შედეგების რუკა,კერძოდ გარკვეული საკითხები იწვევდა გაუგებრობას და ახლა უკვე შეცვლილი და მოდიფიცირებულია.კვლევის კომპონენტთა დაკავშირებით აღნიშნა,რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის ძალიან ბევრი მასალა და სიახლე,რომელიც იკვეთება კვლევაშიც და სამუზეუმო საქმიანობაშიც.ამ მხრივ პროგრამას ძალიან დიდი გამოცდილება მისცა პროფესიულმა მიმართულებამ. მისი თქმით, დაწესებულება გამოსცემს ნაშრომების კრებულს და გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციას,რომელიც ეხებოდა სამეცნიერო წერის სტილის დახვეწას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებას მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ რა პოზიცია ჰქონდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საბაკალავრო პროგრამაში სწავლის მიზნების სრულფასოვან ასახვას?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ რეკომენდაციას იზიარებს, მისი თქმით, შესაძლებელია მიზნების დაკონკრეტება, თუმცა მათთვის მტავარი პრიორიტეტია სწავლის შედეგები, რომელიც გაზომვადია.

საბჭოს წევრმა,ირინა გველესიანმა დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინა ინფრომაცია სასწავლო კურსის დიგიტალური ქართველოლოგიის განმახორციელებ პერსონალთან დაკავშირებით, რადგან სილაბუსში არ არის მითითებული სრულყოფილი ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დაასახალა აღნიშნული კურსის განმახორციელებელი პერსონალის სახელი და გვარი, ასევე განმარტა, რომ აღნიშნულის მიუთითებლობა სილაბუსშ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს წევრმა ეკატერინე შაკიაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფს, კერძოდ ვიზიტის დროს რამდენ სილაბუსში აღმოჩნდა პროგრამის მიზნები არა სრულფასოვნად ასახული? გარდა ამისა, რას გულისხმობს დაწესებულება იმაში,რომ ფილოლოგიის დარგში ვერ აარიდებენ ორაზროვნებას თავს და მხოლოდ ცოდნის გაღრმავებას ემსახურება ეს? ასევე,ვიზიტის დროს რამდენი სასწავლო კურსი დახვდა ექსპერტთა ჯგუფს,რომელთა მიზანი და შედეგი არის არასრულფასოვანი და ორაზროვანი?

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ,ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისია დარგობრივ მახასიათებლებთან, მაგრამ ენის მიმართულებით დაფიქსირდა შეუსაბამობა. ეს ეხება რამდენიმე ენის სილაბუს.ერთ-ერთი მათაგნი იყო

ენაკილოთა საკითხი. ჩანაწერში ფიქსირდებოდა უზუსტობა, კერძოდ ტერმინი „რამდენიმეგან“.შესაბამისად,რეკომენდაცი იყო მისი გასწორება,რომელსაც დაწესებულაბა დათანხმა.მისი თქმით,უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით ცხადია,რომ გასაგები და მისაღები იყო დაწესებულებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამები წლებია ხორციელდება. დაწესებულებას თავიდან ჰქონდა მოდულური მიდგომა ენისა და მსოფლიო ლიტერატურის ფარგლებში, მაგრამ შემდეგ დაიშალა სასწავლო კურსებად.
საბჭოს წევრმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას, კერძოდ მაგისტრატურის დონეზე რამდენად მიზანშეწონილია უცხოენოვანი ლიტერატურის ჩართვა პროგრამაში?
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი აპირებს უცხოენოვანი ლიტერატურის ჩართვას პროგრამაში. მისი თქმით,დასავლური რომანტიზმი როგორც ყველაზე პროგრესული მოვლენა, პროგრამისთვის აუცილებელია.

საბჭოს წევრმა თამარ სირაძემ აღნიშნა,რომ მისასალმებელი იქნება თუ დაწესებულება პროგრამაში დაამატებს თემურ კობახიძის სახელმძღვანელოს „მაღალი მოდერნიზმის შესახებ“.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:01
დასრულების დრო: 17:07

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2030 წლის 07 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.1 რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში აისახოს სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამოირიცხოს სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე;

1.2 მოხდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში;
1.3 რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასებაში აისახოს სწავლების საკვანძო შედეგები და მისი შესაბამისი სასწავლო კურსები, შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები;
1.5 გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით;
1.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსის "ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა" სახელწოდების შეცვლა და კურსის შინაარსის გადამუშავება იმგვარად, რომ იგი სრულ შესაბამისობაში იყოს როგორც პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ისე ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან;
1.5 რეკომენდებულია, გადამუშავდეს "დიალექტოლოგიის" სასწავლო კურსი, შეივსოს შესაბამისი თემატიკით და ეწოდოს :"ქართული დიალექტოლოგია";
1.5 რეკომენდებულია, სასწავლო კურსის: "დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია" და არჩევითი სასწავლო კურსის: "დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები" თემატური და შინაარსობრივი განმეორებების თავიდან ასაცილებლად გადამუშავდეს სასწავლო კურსები და სავალდებულო ლიტერატურა;
1.5 რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების „ლიტმცოდნეობის შესავალი" და „პალეოგრაფია" ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაშრომებით. მაგ. "ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი", რედ. ი. რატიანი, თბ., 2006. იხ. ბმული: http://literaturatmcodneoba.tsu.ge/lit.mc.shesa.pdf; დარეჯან თვალთვაძე "სასწავლო წიგნი ქართულ პალეოგრაფიაში:, თბ., 2006, გამომცემლობა „ნეკერი".
3.2 გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ. რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით;
4.2 რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.

საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:
1.5 სასურველია, სასწავლო კურსის დასახელება დაზუსტდეს და ეწოდოს "ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი".
1.5 სასურველია, შეიცვალოს/დაზუსტდეს სასწავლო კურსის "კულტუროლოგია" სახელწოდება და ეწოდოს „კულტურის კვლევები" ან „კულტურის კვლევების შესავალი".
1.5 სასურველია, სასწავლო კურსი "კულტუროლოგია" შეივსოს სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა შემდეგი ნაშრომებით: ლევან ცაგარელი, კულტურის კვლევების შესავალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წ.; კულტურა და რელიგია სამხრეთ კავკასიაში (სალექციო კურსი). თბ., გამომც. "ნეკერი", 2006.
2.1 სასურველია, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობები დაკონკრეტდეს და სწავლის უფლება შეძლონ ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების ბაკალავრებმა.
2.4 რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება.
4.4 სასურველია, სტუდენტებმა უფრო მეტად გამოიყენონ პრაქტიკულად სამეცნიერო ბაზები, რასაც ხელს შეუწყობს უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესება, რაც სათანადო პროგრამების ინტერესებშია.

4.5 პროგრამის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ფინანსური ღონისძიებები.
4.5 სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული საბაკალავრო პროგრამის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის ანალიზი.
5.1 სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ მასალებში ტექნიკური უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით სასურველია პროგრამის შემოწმების მექანიზმების შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2030 წლის 07 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;
საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.3 რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასებაში აისახოს სწავლების საკვანძო შედეგები და მისი შესაბამისი სასწავლო კურსები, შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები;
1.5 გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით;
1.5 რეკომენებულია, სავალდებულო სასწავლო კურსში: “თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციები” შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა რელევანტური მასალით.
2.4 რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება.
3.2 გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ. რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.
4.2რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.

4.4 სასურველია, სტუდენტებმა უფრო მეტად გამოიყენონ პრაქტიკულად სამეცნიერო ბაზები, რასაც ხელს შეუწყობს უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესება, რაც სათანადო პროგრამების ინტერესებშია.

საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:

1.5 სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის, "ქართული ემიგრანტული და საზღვარგარეთული ქართველოლოგია" სათაური და ეწოდოს "ემიგრანტული და საზღვარგარეთული ქართველოლოგია".

4.5 პროგრამების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ფინანსური ღონისძიებები.

4.5 სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის ანალიზი.

5.1 სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ მასალებში ტექნიკური უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით სასურველია პროგრამის შემოწმების მექანიზმების შემუშავება.

3.მესამე საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის ბაკალავრი Bachelor of Art Restoration;
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო ვლადიმერ გაბაშვილი ქ. N10; თბილისი; 0162; საქართველ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1		ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო ვლადიმერ გაბაშვილი ქ. N10; თბილისი; 0162; საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, აღნიშნა,რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. 29 ნოემბერს შეხვედრები ჩატარდა ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, უსდ-ისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებტან, კურსდამტავრებულებთან და დამსაქმებლებტან. 30 ნოემბერს ჯგუფმა მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: რესტავრაციის ცენტრი და იქ განლაგებული ლაბორატორიები, მუზეუმი და გალერეა, აგრეთვე ბიბლიოთეკა და სასწავლო თუ სამუშაო ოთახები. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფმა გასაუბრებების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.მისი თქმით,პროგრამა არის უნიკალური რომლის მსგავსი არსად არ ხორციელდება.მან აღნიშნა,რომ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.მისი თქმით,პროგრამა 2 (ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია MA) შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ,აღნიშნა,რომ სტუდენტები ფლობენ პრაქტიკულ უნარჩვევებს,მაგრამ მათთან ინტერვიუების დროს გაცნობიერებული არ ჰქონდათ და ინფორმირებული არ იყვნენ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ. ექსპერტტა ჯგუფის წევრმა აღნიშნა,რომ პროგრამები არის სპეციფიური და თავისებურება აქვს ის,რომ ცოტა სტუდენტი სწავლობს იმიტომ,რომ ძვირადღირებული დარგებია.სტუდენტებთან ურთიერთობაში გამოიკვეთა,რომ ჰქონდათ ინფორმაცია კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ,თუმცა გარკვეულ ნაწილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისა და გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის კლასტერული აკრედიტაცია პირველი შემთხვევაა. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა,რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და იმუშავა იმაზე,რომ რუსულენოვანი ლიტერატურა,რომელიც ამ დარგში კლასიკურად სახელმძღვანელოებად მოიაზარება,შეცვლილიყო ბეჭდური ან ელექტრონული სახით. მისი თქმით,ხელოვნების ისტორიის კურსები იკითხება მთელ აკადემიაში,მაგრამ ყურადღება მიექცა იმას, რომ რესტავრატორს შესაძლებელია უფრო დასჭირდეს „შორეული აღმოსავლეთის ისტორია“ და “ძველი ცივილიზაციები ისტორია“. პროგრამაზე არის სამი მოქმედი პროექტი საერთაშორისო პარტნიოერებთან ერთად. გარდა ამისა,მზადების პროცესშია კიდევ სამი.თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში ეტაპობრივად დაემატება დედლაინების მიხედვით პროგრამას.ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი პროექტი დაფინანსებულია რუსთაველის თეატრის მიერ,რომელშიაც ჩართული არიან პედაგოგები.მისი თქმით,თუ არა ხარ დარგთან ინტეგრირებული ვერ განახორციელებ მეცნიერებას. თამარ ლილუაშვილმა აღნიშნა,რომ ყველა სილაბუსში არის შეტანილი სასწავლო რესურსები.მისი თქმით,ამ სპეციფიურ დარგში როგორც თეორიული,ისე პრაქტიკული მასალა არის რუსულენოვანი,თუმცა შეიცვალა და დაემატა თანამედროვე ლიტერტურა ინგლისური ენის სახით,რომელიც 2000 წლებში არის გამოცემული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო: 17:25
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუქნტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2030 წლის 07 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.5 პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:
3.1 სასურველია ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს და გაღრმავდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობა, რაც დაეხმარება ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას.
3.1 სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.
3.2 მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ჩართულობით დაიგეგმოს შეხვედრები აკადემიაში სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური წერის სტილის შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის" სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2030 წლის 07 თებერვლამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით;

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.4 ექსპრტთა ჯგუფის აზრით, შეიმჩნევა გარკვეული დისბალანსი სამაგისტრო პროგრამის იმ არჩევით კურსებში, რომლებიც ხელოვნების ისტორიას შეეხება. სწავლის შედეგებზე სრულად გასასვლელად უმჯობესია ხელოვნების ისტორიის სფეროს შემსწავლელი სალექციო კურსები შეძლებისდაგვარად ფარავდეს მინიმუმ იმ ეპოქებისა და მიმდინარეობების ხელოვნებას, რომელთა ნიმეუშები შეიძლება გახდეს მომავალი რესტავრატორის საქმიანობის ობიექტი.
1.5 პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების სილაბუსებში აღინიშნება სასწავლო რესურსების დეფიციტი; ზოგიერთ მათგანში არ ჩანს ლიტერატურის ჩამონათვალი; ზოგჯერ მითითებული რესურსი არ შეესაბამება საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტებს. ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი სილაბუსის გამდიდრება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით თუ ელექტრონული სასწავლო რესურით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ენობრივი ბარიერის გამო სტუდენტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია.

საბჭოს მიერ გაცემული რჩევები:
3.1 სასურველია ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს და გაღრმავდეს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული თანამშრომლობა, რაც დაეხმარება ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას.
3.1 სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში.
3.2 მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ჩართულობით დაიგეგმოს შეხვედრები აკადემიაში სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური წერის სტილის შესახებ.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1 291513, 26/03/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N1; 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა,რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და რჩევა,თუმცა მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა 2.1 სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაცია,რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელ რეფერატში ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატი

წარმოადგენდეს შეფასების აღნიშნულ მეთოდში სტუდენტის უარყოფითი შეფასების საფუძველს, ვინაიდან აკადემიურ სივრცეში, მათ შორის საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატის წახალისება დაუშვებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და რჩევები. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დოკუმენტშიც და რამდენიმე სილაბუსში ჩარჩენილი იყო 2018 წლიდან ტერმინი „პლაგიატი“,რომელიც უნდა შეცვლილიყო ტერმინი „თანხვედრით“.შესაბამისად,განახლდა დოკუმენტები და გასწორებულია ტერმინი „პლაგიატი“ „თანხვედრით“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:32
დასრულების დრო: 17:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტი საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიკორინგის ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:55 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით